



№ 07-04/4808
14 " 05 2007

საქართველოს საგარეო
საქმეთა სამინისტროს

წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების პროექტს ქართულ და რუსულ ენებზე, განმარტებით ბარათსა და საქართველოს უწყებების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილს (შეთანხმების ფურცელს).

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის მიმართ ფინანსთა სამინისტროს შენიშვნები არ აქვს. შეთანხმების ხელმოწერა არ გამოიწვევს საქართველოსთვის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღებასა და საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

გთხოვთ განახორციელოთ აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერისთვის საჭირო პროცედურები. მათ შორის, მოამზადეთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროს ბატონ მინდია გადავეისათვის "საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ" შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

დანართი: 39 გვერდზე

პატივისცემით,

კახა ბაინდურაშვილი
მინისტრის პირველი მოადგილე





საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 212/14
„07 04 2007“

დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის
რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში
ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების“ პროექტის თაობაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების“ პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახეის შენიშვნები და წინადადებები:

შეთანხმების პრეამბულასა და შემდგომში მთელს ტექსტში სიტყვები „მხარეების“ და „მხარეებს“ შეიცვალოს სიტყვით „მხარეთა“.

პირველი მუხლის გ) ქვეპუნქტში სიტყვა „მგზავრების“ შეიცვალოს სიტყვით „მგზავრთა“.

პირველი მუხლის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საბაჟო სამართალდარღვევა“ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებისმიერ დარღვევას ან დარღვევის მცდელობას“.

მე-2 მუხლის პირველ პუნქტში და შემდგომში მთელს ტექსტში გერმანული: „სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობა“, „შიდა კანონმდებლობა“, შეიცვალოს სიტყვით „შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა“.

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში გერმინი „აღებულ ვალდებულებებს“ შეიცვალოს სიტყვით „ნაკისრ ვალდებულებებს“.

მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტში, სიტყვა „ცნობილი“ შეიცვალოს სიტყვით „მხილებულნი“.

მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თხოვნის საუბრეებზე, დოკუმენტების დანერგვის გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც თვითნებურად დამოწმებული ასლები არასაკმარისია თხოვნის შესასრულებლად.“

მე-12 მუხლის პირველ პუნქტში და შემდგომში მთელს ტექსტში სიგყვა „ორგანოების“ შეიცვალოს სიგყვით „ორგანოთა“.

მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საბაჟო სამსახურების თანამდებობის პირობა გამოხატავს ექსპერტის ან მოწმის სახით უნდა მოხდეს მხარეთა მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, აგრეთვე იმ საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილეობასაც წარმოადგენენ მხარეთა სახელმწიფოები.“


მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, ე) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „კონკრეტულ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებას ითვალისწინებს თხოვნა:“

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში სიგყვა „იგივე“ შეიცვალოს სიგყვით „იმავე“.

25-ე მუხლში სიგყვა „განმარტების“ შეიცვალოს სიგყვით „არტის“ „პრეგაციის“.

26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ხელშემკვრელი მხარეები ამ შეთანხმების შესრულებისათვის აუცილებელი კონსულტაციების ჩატარების მიზნით ერთმანეთს შეხვდებიან საჭიროების მიხედვით, მაგრამ სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც, თუ ისინი წინასწარ არ შეთანხმდებიან, რომ ამგვარი შეხვედრის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული შეთანხმების გაფორმება.



ლევან ჭოლაძე

მინისტრის მოადგილე



იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

№ 21/23/03-1308
„21“ 02 2007 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 26 იანვრის №2/1138-14 წერილის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში აღმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების პროექტი და გაცნობები:

მიზანშეწონილია, პროექტის მე-10 მუხლში ფრაზას „დახმარებას აღმოუჩენს“ შემდეგ დაემატოს ფრაზა „თხოვნის წარმდგენ საბაჟო სამსახურს“.

მიზანშეწონილია, შეთანხმების პროექტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვროს, რა შემთხვევებში ხდება კონტროლირებადი მიწოდების მეთოდის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

შეთანხმების პროექტის მე-19 და მე-20 მუხლები შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან. კერძოდ, მიღებული ინფორმაციის დაცვის დონე უნდა განისაზღვროს მიმწოდებელი და არა მიმღები ხელშემკერველი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ეს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტშია გათვალისწინებული.

მე-20 მუხლის მე-3 პუნქტში ფრაზას „№1 დანართში“, მიზანშეწონილია, წინ დაემატოს ფრაზა „წინამდებარე შეთანხმების“.

პროექტის 22-ე მუხლში უნდა განისაზღვროს, რას გულისხმობს ფრაზა „მნიშვნელოვანი მოცულობის ხარჯები“.

23-ე მუხლის მე-2 პუნქტში ფრაზა „უწყებრივ ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „ნორმატიულ აქტებს“.



პროექტის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საკუთრებაში არ არის უფლებამოსილი დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება იდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით.

შთანხმების პროექტის დანართი I-ის მე-5 პუნქტში დასაზუსტებელია, რა იგულისხმება ტერმინში „რემედიუმი“.

შთანხმების პროექტის პირველი მუხლის „ო“ პუნქტში სიტყვას „მხარეების“, ასევე მე-2 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვებს „მხარეების“ და „მხარეთა“, ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიტყვას „მხარის“, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვას „მხარეების“, მე-13 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვას „მხარის“, მიზანშეწონილია, წინ დაემატოს სიტყვა „ხელშემკრედი“.

რ.მ.ხმ პარტიის ცემით,



კონსტანტინე კორკელია
მინისტრის კანცელარიაში აღდგილუ



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 6/7/9-711

„20“ 02 2007წ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ლევან ჭოლაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 26 იანვრის №2/1140-14 წერილის პასუხად, რომელიც „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების პროექტს ეხება, გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი და უაპაჩსია შემდეგი შენიშვნები:

- მიზანშეწონილია შეთანხმების პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტში და შესაბამისად მთელ ტექსტში ტერმინი „საბაჟო სამსახური“ შეიცვალოს ტერმინით „კომპეტენტური ორგანო“, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ წარმოადგენს საბაჟო სამსახურს;

- მიზანშეწონილია ამავე მუხლის „გ“ პუნქტიდან ამოღებულ იქნას ფრაზა „სხვა სამართლებრივი აქტებით“.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერა.

პატივისცემით,

ეკატერინე ზღულაძე
მინისტრის მოადგილე

